ეროვნული ბიბლიოთეკა


# სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 116 დამატების № 19

კვირა, 28 ივნისი 1915 წ.


სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია. ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა.
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.



**თბ. ღარიბთა თავშესაფარი ნიკოლოზ იაკობის-ძის ზუბალაშვილისგან** აშენებული მთაწმინდაში. აქ ინახვენ ხელ-მოკლე მოხუცებულებს ყველა ეროვნებისას. ამ დავრდომილთა თავშესაფარ სახლს თავისი ძირითადი თანხაც აქვს დადებული.

## ანდერძი ჩემ შვილს.

გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე,
რაც უნდა ჭირში ჩავარდე!
ცხოვრების დახლართული გზა
უშიშრად გაინავარდე!..

— —

ყველა გიყვარდეს და ცოდვაც
შეუნდვე წრფელის გულითა,
მით ამაღლდები მდაბალი,
სხვებისთან სიყვარულითა!

— —

მარტო შენ თავზე ნუ ზრუნავ,
სხვებიც გიყვარდეს მარადა,
შრომა აიღე მახვილად
და მოთმინება ფარადა.

— —

აი ეს არის ამ ქვეყნად
შვება და ბედნიერება
და უკვდავების მარადი
უჭკნობი ბედნიერება!

აკაკი.

1909 წ. 1 ივნისი.

## ცოდვილის სიმღერა.

სხვის ხელით ნარი მოვკრიფე
ტკივილი ვერც კი გავიგე;
ნაშაშრ-ნადენი სისხლისგან
სახლი და კარი ავიგე.
ღიმილით, მელურ სიცილით
თავი არვისთან წავიგე;
ვაგლახ მე! თურმე სატრფოსთან
ეკლის ლოგინი დავიგე.
რაც დახვდა ერთხან იწამა
ვით ყელმშვენება მძივითა,
დღეს კი ყველაფერს გაურბის
იგი გველ-ნაკბენივითა.
მიმაქვს რამ სჯულით და გულით
ისიც ნაარმი ჰგონია;
მომრკალა, იმას ვაკეთებ
რაც მისი მოსაწონია.
ნარს ჰგლეჯავს ჩემის ხელითა
ტანჯულოა დასახსნელადა,
უკმეხ, შუბლ მაგარს, ქვად ქცეულს
ძმის გამტანს მეტად ძნელადა.
ახლა მქნის შეუდრეკელსა
მე უცხვირპიროს წნელადა;
ვის რად უნდივარ შხამ-გულა
დაბადებული გველადა!..
ნარს ვგლეჯდი სხვისი ხელითა,
რაც მწადდა ყველა ასრულდა,
სატრფოც მიმიხვდა სიავეს
და ჩემი ყოფაც დასრულდა!..

შიო მღვიმელი.



ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესია
თავისი კარ-მიდამოთი.



სევერიან ბოჭორიშვილი.
(ჯარის-კაცი)
დაჭრილია ავსტრიის ფრონტზე 11 ივნისს



მელიტონ ბესიას ძე მახარობლიძე.
(ჯარის-კაცი)
უგზო-უკვლოთ დაკარგული

# უკანასკნელი საშუალება.

(ამბავი.*)

3

მოკლე ხანში ნიშნობა უნდა მომხდარიყო. ამ დროისთვის ჩემი ძმა კოტეც მოვიდა და რუსას ძმასაც მოელოდნენ, კოტე ჩვეულებრივის მხიარულებით არ შემომხვედრია, წინად ნახვის პირველ დღეებში სულ ჩემთან იყო ხოლმე და რამდენიმე დღის განმავლობაში ლაპარაკით ვერ ვიღლებოდით ხოლმე; ეხლა კი თავჩაქინდრული შემოვიდა ჩემთან და მისალმებისთანავე მითხრა:

— კაცო, ცოლს ირთავ მართლა?

— მართლა ვირთავ ცოლს, მაშ ტყუილად ცოლის შერთვა ვის გაუგონია, გავეხუმრე მე.

— ვისა თხოულობ, მკითხა კიდევ იმან, რაღაც გამოურკვეველი და გაუბედავი ხმით.

— რუსას, ყულოშვილის ქალს, ვუპასუხევი მე.

კოტე კიდევ ცოტა ხანს დარჩა ჩემს ოთახში, შემდეგ სწრაფად მოტრიალდა და წავიდა.

ნიშნობაზე აგრე რიგად ბევრი ხალხი არ ჰყავდა მოწვეული ჩემს სასიმამროს, მარტო ჩვენი სოფლელები იყვნენ. ალბათ, როგორც ვაჭარი კაცი, მეტის მეტს ხარჯს ერიდებოდა, მაგრამ დიდი გრძელი სასტუმრო ოთახი მაინც პირამდი იყო სავსე სტუმრებით. ვახშმათ მე და რუსა ერთად ვისხედით, ისევ ქანდაკებასავით უძრავად მჯდომი, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე და არამც თუ რამე მხიარულობა არ ეტყობოდა, პირიქით მოწყენილი იყო. არც საჭმელს, არც სასმელს არ ეკარებოდა და მხოლოდ პურის პატარა ნატეხებს ნელ-ნელა სწიწკნიდა და პირში იდებდა როცა თამადამ ორივეს სადღეგრძელო დალია და საზოგადოებამ მოითხოვა „გორკა“, რუსა სრულიად არ გაინძრა. ის საითკენღაც ერთი წერტილისაკენ გაიცქირებოდა მორცხვად, დაღვრემილად და ხან კი ძირს ჩაჰკიდებდა ხოლმე თვალებს. მხიარულება, სადღეგრძელოს სმა, მჟღერვალე მრავალ-ჟამიერი ერთიერთმანეთს მისდევდნენ, ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა, ყველას სახე უბრწყინავდა, მხიარულებდა. უკვე ყველანი საკმარისად შეზარხოშდნენ და უკვე მეორედ დანიშნულების სადღეგრძელოები დასცალეს, რომ თამადამ შეამჩნია ჩემს ძმას კოტეს ჭიქა არ ჰქონდა დაცლილი.

— კოტე, კაცო არ შეიძლება ეგრე ქცევა, შენის ძმისა და სასძლოს სადღეგრძელოს შენ რომ არა სვამ, სხვამ ვინ უნდა დალიოს, მიაძახა თამადამ.

კოტე შეკრთა, ინსტიქტიურად ზეზე წამოდგა, ჭიქა ხელში აიღო, უნდოდა რაღაცის თქმა, ხელი აუკანკალდა, ჭიქა ხელიდან გაუვარდა, იატაკზე დაიღვარა და დაიმსხვრა, თითონაც ფეხი გაუსხლტა, წაბარბაცდა, მაგრამ უცებ გასწორდა, დარცხვენილი გარედ გავარდა და აღარ შემოსულა ამის შემდეგ. კარგა დიდხანს გაგრძელდა ვახშამი, რომლის დროსაც ჩემი სასიმამრო სულ აღებ-მიცემობასა და ვაჭრობაზე ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ჩვენს ამ დარგში ჩამორჩენაზე და დასძენდა, რომ თუ ქართველებმაც არ გამოვიჩინეთ ნიჭი ამ დარგში, ბოგანო ხალხად გარდავიქცევითო. მამა ჩემი და ზოგიერთნი სხვანიც გულდასმით უსმენდნენ გამოცდილსა და გამოქნილს ვაჭარს, ისიც ატყობდა, რომ ესიამოვნებოდათ მისი ლაპარაკი, თავი მოჰქონდა ამით, უფრო კი თავისი სიმდიდრით და განაგრძობდა:

— ჩვენ ქართველები უბედური ხალხნი ვართ, ვაჭარს, აღებ-მიცემობის პატრონს, შვილი ვაჭარი არ გამოჰყავს, თითქოს ჯერ კიდევ გვეთაკილება ვაჭრობა, რაღაც დამამცირებლათ მიგვაჩნია იგი და იმას ვცდილობთ, რომ თუ მამა ვაჭარია, შვილი კაკარდოსანი იყვეს და სხვათა ხელს შესცქეროდეს. აი ჩემი შვილიც მამის გზას ასცდა, ექიმია; ერთი დამიხედეთ, რა იქნებოდა სწავლაც მიეღო, მაგრამ შემდეგ ჩემს კვალს დასდგომოდა ისიც, მაგის სწავლა, რომ ჩემს წარმოებას მიჰმატებოდა, ერთი ათად უფრო უკეთესათ დატრიალდებოდა ჩემი წარმოება. აი ჩემი სიძეც მე მგონი, კაკარდოსნობის გზაზე დასდგება.

— რას იზამ ჩემო სიმამრო, ვუპასუხე მე, ვაჭრობას გამოცდილება უნდა, შესწავლა, კაცმა, რომ ვაჭრობა კარგად აწარმოვოს, ამისათვის საჭიროა სკოლა გაიაროს, ჯეროვანი დაკვირვება და გამოცდილება შეიძინოს, თორემ ჩემისთანა კაცმა, რომელსაც ანბანიც არ გაუვლია აღებ-მიცემობისა, ვაჭრობას რომ ხელი მოჰკიდოს, რა ხეირი ექნება?

კარგად შეზარხოშებულ თამადას, რომელსაც ღვინოსაგან გაბრუებული ჰქონდა თავი, ბუნდათ ესმოდა ლაპარაკი სიძე-სიმამრისა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც კარგსა და სასიამოვნოს ლაპარაკობდნენ და უცებ წამოიძახა.

*) დასასრული, იხ. დამატება № 18.



**ალექსანრე პავლეს ძე გოჭოლიშვილი.**

(ფლედებელი)

მოკლულია კავკასიის ასპარეზზე.



**დ ი ა ნ ო ს ლ ა ფ ე რ ა ძ ე.**

(ჯარის-კაცი)

დაჭრილია ავსტრიის საზღვარზე 16 აგვისტოს.



ქართველი სპარსელები **ყოლა მუსეინ ონიკაშვილი და ყოლა მუსეინ ხუციშვილი** საქართველოში მოვიდნენ, ქართული წერა კითხვა შეისწავლეს და შემდეგ სპარსეთში დაბრუნდენ. ხუციშვილი გზაში გადაიცვალა, ხოლო ონიკაშვილი სპარსეთში რევოლუციის დროს დახვრიტეს.

ექსტრა, ღმერთმა გაუმარჯოს ახალ სიძე-სიმამრს, უფალმა ხელი წაუმართოს ორივეს, ვაჭრობა თუ აღებ-მიცემობაში, რომ ორივეს დანათესავებასთან ერთად, საერთო ინტერესიც ჰქონოდეს და პირნათლად ემსახურნოთ ერთმანეთისათვის. მის სიტყვას გახურებული ტაში და მრავალ-ჟამიერი მოჰყვა. ყველანი უსურვებდნენ, რომ ახალი სიძეც გამოცდილი სიმამრის კვალს გაჰყოლოდა და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ფართო აღებ-მიცემობა, ვაჭრობა შეექმნათ,

ხანში შესული სიმამრი წამოდგა, ხელში ჭიქა აილო, მივიდა თავის სიძესთან, გულიანად გადაჰკოცნა და უთხრა:

— ჩემმა შვილმა არ იკადრა ჩემგან არჩეულ გზაზე სიარული და აი შენ მის მაგიერ შვილი იყავ ჩემი და მე შენი მამა და ღმერთმა იცოდეს, რა მამობასაც გაგიწევ და რა გზასა და კვალზე დაგაყენებ.

კიდევ ხვევნა-კოცნა, სადღეგრძელოების სმა, მრავალ-ჟამიერი. დიდხანს ვიმხიარულევით. მამაჩემი თითქოს დარცხვენილი, დამცირებული, გულნატკენი იჯდა,—ეს ერთს დროს კარგი მებატონე და კარგის ყმისა და მამულის პატრონი. ჩემი სიმამრი კი გადაჭარბებულათ მხიარულებდა და სულ თავისს ქონებასა და ვაჭრობაზე განაგრძობდა ლაპარაკს.

ბოლოს მხიარულობა და ქეიფი ყველას მოგვეწყინა და ძალზე დამთვრალნი ნელ ნელა ავიშალენით გათენებისას.

მე ძლივს აველი ჩემს ოთახში, გადავწიე საბანი, წამოვწექი და ხვრინვა ამოუშვი. დიდი ხანი არ გასულა, რომ ვიღაც მოვიდა და ღვიძება დამიწყო.

— სიკო, სიკო, აი სიკო, გაიღვიძე ერთს წუთს.

— ვინა ხარ, რა გინდა, ძლივს წამოვიძახე ბურან-

ში გახვეულმა, თვალები გავაჭყიტე და ჩემს საწოლთან მდგომარე კოტე კი დავინახე, რომელსაც ფერი არ ედო და რაღაც ტანჯვა ეტყობოდა სახეზე

— სიკო, სიკო, თითქოს ხვეწნით მითხრა ძმამ, გამიგონე, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და ცოტა ხანს მომისმინე.

— სთქვი, რა გინდა, ცოტათი ბურანიდამ გამორკვეულმა წამოვიძახე

— სიკო, დაანებე რუსას თავი, ნუ თხოულობ, გეხვეწები, შეისმინე ჩემი სიტყვა.

ამის თქმაზე მე ძალზე თვალები გავაჭყიტე და ვუთხარი.

— კოტე ეს შეუძლებელია, ყველაფერი დიდი ხანია, რაც გათავებულია და აღარაფერი ეშველება და ამის თქმასთან ერთად მეორე გვერდზე გადავბრუნდი.

კოტემ ძალზე ამოიოხრა, თითქოს რაღაც ჩასწყდა სულშიო და ტყვიანაკრავსავით, ტორტმანით წავიდა კარებისაკენ.

4

ცოტა ხანმა კიდევ განვლო. მე და რუსა თუმცა ხშირად ვხედავდით ერთმანეთს, მაგრამ ის ისევე შორეული იყო ჩემთან, როგორც წინეთ. ერთხელაც არ გამომლაპარაკებია ხეირიანათ და თითქმის მერიდებოდა კიდეც.

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ამოვიდა ჩემთან, იმ ბედკრულ დღეს, რომელიც სჯობდა არ გამთენებოდა. წყნარად შემოაღო კარები, წყნარადვე მომცა სალამი და იქვე მაგიდასთან ჩამოჯდა. ორთავეს ლაპარაკი არ გვეხერხებოდა, ვცდილობდი როგორმე ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, ხან რაზე ჩამოვაგდებდი ლაპარაკს, ხან რაზედ, მაგრამ ყველაფერზე მოკლეთ სხარტულად მიპასუხებდა. ჩვეულებრივ ქანდაკებასავით ჩამოსხმული უსიცოცხლო სახე რუსასი, თითქოს უფრო მოღუშულიყო, ვატყობდი რაღაცის თქმა უნდოდა, რაღაც ჩუმს გრძნობას სრბოლა ჰქონდა მის არსებაში, მაგრამ ვერც კი გამოეთქვა, ვერ გაებედნა. კარგა ხანს იჯდა ისე ქანდაკებასავით, მეც თითქოს დარცხვენილად ვგრძნობდი თავს მის წინაშე. ბოლოს ადგა, წელში გაიმართა, ერთი კიდევ რაღაც უცნაურად გადმომხედა და გავიდა.

იმ სალამოს საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა, მთაში საშინლად ელავდა და გრგვინვა გაჰქონდა. უცებ ასეული ღრუბლები ცაში მარდათ დასრიალებდენ და ბარზე გადმოსვლას ლამობდენ. სალამო საშინელი ბნელი იყო და როცა წვიმა წამოვიდა, მაშინ ხომ ყველაფერი ისე ჩამობნელდა, რომ თვალთა ხედვა აღარ იყო. აბობოქრებული ბუნება გრგვინავდა და საშინელებას უპირებდა ქვეყნიერებას, ხეებს ლაწა-ლუწი გაჰქონდათ, წვიმასთან ერთად ამოვარდნილი გრიგალი ქვეყნიერებას დანგრევა-წალეკვას უქადდა. მდინარეც ახმაურდა, ისეთი ღრიალი გაჰქონდა, რომ კაცს ეგონებოდა მთები მთლად ჩამოუნგრევია და მისი ქვა-კლდე და ღრე სოფელს უნდა მიაყაროსო. გამხეცებული გამძვინვარებულის ბუნების წინაშე, რომელმაც ჩემი პატარა სარკმელიც კი არ დაიშურა და წვიმის წყლით აავსო, ვიდექი გაშტერებული და მის მძვინვარებას შევსცქეროდი, რომ ამ დროს ჩემი და შემოვიდა და მომაძახა:

— რუსა ხომ არ იცი სად არის? იმათგან ბიჭი მოვიდა და ჰკითხულობს. ვერსად უნახავთ და დაეძებენ. კოტეც არ არის სახლში. ჩქარა, დედამ შემოგითვალა ყველანი მიდიან საძებნელათ. არაფერი მოუვიდესთ ამ ავდარში, შენც გაჰყევი ჩქარა,

მაშინვე გადავიცვი საწვიმარა პლაში და გავიჭერი გიჟსავით, სხვები უკვე მზათ იყვნენ და ყველანი სხვადასხვა გზით წაველით საძებნელად. მე და ერთი ჩვენი მოჯამაგირე მდინარისაკენ გავექანევით, მაგრამ ისეთი უკუნეთი სიბნელე იყო, რომ ვერც ფარანი გვშველოდა, რომელიც ძლივსღა ციმციმებდა და ვერც გზის კარგათ ცოდნა. ბოლოს ფარანი გაგვიქრა, გზაც აგვერია და ერთს გაჭირვებაში ჩავვარდით. წვიმა კი თავისას არ იშლიდა და შიგ სახეში გვასხამდა, ძალზე დავსველდით. ბევრი აქეთ-იქით ვიყვირევით, მაგრამ ხმა ვერავის მივაწვდინეთ, არსადა სჩანდა, არც კოტე, არც რუსა. ბოლოს როგორც იყო მივადექით ფაფარ აშვებულს, გაცოფებულ მდინარეს, რომელსაც რაც კი წინ დახვედროდა წინ წაეგდო და წამოეღო. მისი ღრიალი გვაკრთობდა ორივეს, ჩვენ მას შორი ახლოს ნელ ნელა ჩავყევით და მახლობელი ტყე-ჭალისაკენ გავემართენით და ჩქარა რაღაც შავს მომავალ არსებას მოვკარით თვალი, რომელიც ჩვენსკენ მოემართებოდა. ბიჭმა ხელახლავ გაჰკივლა — კოტე, კოტე სადა ხარ, აი კოტე. ამ დროს უკვე მოგვიახლოვდა ადამიანი, რომელიც კოტე გამოდგა და რომელსაც ხელში რუსა ეჭირა, ძლივს მოათრევდა და შემოგვძახა გიჟსავით,

— ცოცხალია, ცოცხალი, არ მომკვდარა, მიშველეთ სახლამდის მივიტანოთ.

ჩვენ ორივენი მაშინვე მივცვივნდით და შევეშველენით. რუსას სიცოცხლის ნიშან წყალი აღარ ეტყობოდა თავპირი დამტვრეული და ტანისამოსი შემოგლეჯილი ადამიანს აღარა ჰგავდა.

საშინელება დატრიალდა ჩვენსა და უფრო კიდევ რუსაანთს ოჯახში. მამაჩემი, რომელიც რუსასთან ჩემს შეუღლებაზე ამყარებდა თავისს ოჯახის მომქრალს ბედნიერებას ეხლა ადამიანის ლანდსა ჰგავდა. რუსა დროებით ჩვენს სახლში დავასვენეთ. წვიმამ უკვე გადიღო, მაგრამ მისი ადგილი საშინელმა გულშემზარავმა ტირილმა, მოთქმამ და გოდებამ დაიჭირა საშინელება დატრიალდა ორივ ოჯახში, ნამდვილი სწორ-უპოვარი წამება იყო ეს წუთები. სიტყვით ვერ გამოითქმის ის მწუხარება, ის ელდა და თავზარი, რაც ამ უბედურებამ დასცა ორივე ოჯახს. ელდის ზარმა, გლოვისა და შიშის მწუხრმა ათასნაირად გაჰგმირა და დაგვიარა ყველას.

გათენებისას ნელ-ნელა დავიშალენით, ცხედრის ოთახში აღარავინ იყო, მხოლოდ სანთლები ენთო თავთან და იქვე პატარა ხატი ესვენა. ყველანი თითქმის მივლაგდით. სევდით სავსე, თავზარდაცემული შეველი ჩემს ოთახში და ოდნავ მივწექი ჩემს საწოლზე, რომ ამ დროს საშინელი ხმა მოისმა დამბაჩისა, რომელსაც რაღაც ზლართანი მოჰყვა თანა. ხელახლა შეინძრა მთელი სახლი და ყველანი იქით გავექანევით, საიდანაც ხმა მოგვესმა.

რუსას უსულო გვამის გვერდით, ახალი გვამი ეგდო დასახიჩრებული და მთლად სისხლის მორევში მოსვრილი. ეს იყო ჩემი ძმა კოტე.

შევხედდევით ამ ორთავე უმანკო სხეულს და მხოლოდ მაშინ ვიგრძენით ყველამ, რომ ამ ორ არსებაში მძლავრი სულიერი ნათესაობა ყოფილიყო. რომელსაც ჩვენ ბეცნი ვერა ვგრძნობდით და ვერ ვხედავდით.

**ედილი.**

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. კოხრეიძისა

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.